



მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 1 ნოემბერი, 2014 წელი

დრო: 13:00 – 15:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტულუში - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე
2. ნინო ჩხოზაძე - მესამე ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა /დედამიწის მეგობრები- საქართველო
3. მანანა ქოჩლაძე - ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“
4. დათო ჭიპაშვილი - ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“
5. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
6. მურმან მარგველაშვილიშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
7. ნოდარ თხელიძე - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
8. ანზორ დუნდუა- საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
9. ნუგზარ სულმანიძე - კავშირი „ეკოტექი“
10. მანანა დევიძე - ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“
11. ივანე პირველი - საქართველოს ახალგაზრდა ენეგეტიკოსთა ასოციაცია
12. კავშირი მდგრადი განვითარებისთვის „ეკოვიჯენ“ - ლევან გურგენიძე
13. ნათელა გიუნაშვილი - ასოციაცია - საზოგადოება განვითარებისთვის
14. ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო - გიორგი აბულაშვილი
15. დავით შველიძე - ასოციაცია - საზოგადოება განვითარებისთვის

განსახილველი საკითხები:

- ❖ ბათუმის "მე-6 აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი"
- ❖ ნარჩენების მართვის კოდექსის განხილვა, მოსაზრებების / წინადადებების მიწოდება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტს
- ❖ საქართველოში ენერგეტიკული პოლიტიკის და ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხების განხილვა
- ❖ საქართველოს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების საკითხი

შეხვედრა გახსნა სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა და დამსწრეებს გააცნო დღის წესრიგი. კანონპროექტის - ნარჩენების მართვის შესახებ, მომზადდა შენიშვნები, რომელიც თანაკოორდინატორმა წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას. მან ისაუბრა იმ პრობლემებზე და გამოწვევებზე, რომელიც არსებობს აღნიშნულ სფეროში. თანაკოორდინატორმა ჯგუფის წევრებს მოუწოდა, რომ განიხილონ აღნიშნული კანონპროექტი, გამოთქვან მოსაზრებები, შემდგომ ეტაპზე კი მოხდეს საკომიტეტო მოსმენებზე მესამე ჯგუფის დასწრება და პოზიციების დაფიქსირება.

კანონპროექტი ნარჩენების მართვის შესახებ შემუშავდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული თვინივრის პროექტის „გარემოს დაცვის სამინისტროს შესაძლებლობათა გაძლიერება ნარჩენების მართვის სისტემის შემუშავებისა და გაუმჯობესების მიზნით საქართველოში“ ფარგლებში.

ენერგოეფექტურობის ფონდის ხელმძღვანელმა წამოაყენა ინიციატივა, რომ შეიქმნას სამმხრივი ფორმატი და კანონპროექტის განხილვის პროცესში მთავრობასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ჩართული იყოს წარმომადგენელი ევროკავშირის მხრიდან (პირი, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნულ პროგრამაზე).

საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ შესთავაზა ჯგუფის წევრებს, რომ შეხვედრა გაიმართოს გარემოს დაცვის კომიტეტთან და მოხდეს აღნიშნული პრობლემების და შეთავაზებების განხილვა. ასევე მომზადდეს წერილი, სადაც დასაბუთებულად აღწერილი იქნება პრობლემის არსი და პლატფორმის სახელით გადაიგზავნოს შესაბამის უწყებასთან.

მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის წარმომადგენელმა ისაუბრა საქართველოს ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანებასთან დაკავშირებულ საკითხზე. მან აღნიშნა, რომ საქართველომ 2010 წლიდან დაიწყო მოლაპარაკებები ევროკომისიასთან

ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. 2013 წლის იანვარში საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად მიმართა ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს სრულუფლებიან წევრობაზე. 2014 წლის თებერვალში ენერგეტიკის საკითხებში ევროკომისიის გიუნტერ ოტინგერის განცხადებით საქართველო ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წევრი ევროკომისიის ვადის ამოწურვამდე, 2014 წლის ოქტომბრის ბოლომდე გახდებოდა. მას შემდეგ ჩატარდა მოლაპარაკებების რამდენიმე რაუნდი, სადაც მნიშვნელოვანი გამონაკლისები იქნა დაშვებული საქართველოსათვის სენსიტიურ საკითხებში. ენერგეტიკის სამინისტრომ რამდენჯერმე განაცხადა, რომ მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობდა და პრაქტიკულად დასრულებულია, თუმცა საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ გაწევრიანების პროცესი ჭიანჭურდება. მოლაპარაკებების პროცესი პრაქტიკულად შეჩერებულია 2014 წლის მარტიდან, ხოლო მთავრობის მხრიდან არ ყოფილა განმარტებული გაჭიანურების მიზეზები და წამოჭრილი სირთულეები, რაც სერიოზული შეშფოთების საფუძველს იძლევა შემდეგ გარემოებათა გამო: საყურადღებოა, რომ ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით საქართველომ უკვე აიღო ევროპის ენერგეტიკული კანონმდებლობის პაკეტის განხორციელების ვალდებულება. მოლაპარაკება ენერგეტიკული გაერთიანების (ეგ) წევრობის ფორმატში განსაზღვრავს მხოლოდ ვადებს და განხორციელების პირობებს. თუ „ეგ“ მოლაპარაკება წარუმატებლად დამთავრდა, ასოცირების შეთანხმების თანახმად მაინც უნდა მოხდეს იგივე დირექტივების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობაში, თუმცა შესაძლოა უფრო ხისტი ვადებით და პირობებით.

მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ევროპული ენერგეტიკული კანონმდებლობის დანერგვა თავისთავადი სარგებელია, ვინაიდან ეს გულისხმობს საბაზრო მექანიზმების, გამჭვირვალობის და ხარისხიანი საკანონმდებლო გარემოს დამყარებას, რაც თანამედროვე საზოგადოების დამახასიათებელი ეფექტური სისტემების ჩამოყალიბებას და შესაბამის ინსტიტუციურ თუ პროფესიულ განვითარებას ნიშნავს. ეს ასევე გულისხმობს ენერგოსექტორში არსებული საკანონმდებლო და მარეგულირებელი გარემოს შეცვლას, გაუმჭვირვალე მემორანდუმების სისტემის ეტაპობრივ გაუქმებას, გამჭვირვალე საბაზრო პრინციპების და პროფესიული გარემოს დამკვიდრებას, რაც შესაძლოა კორუფციას აღმოფხვრის.

- ენერგეტიკული გაერთიანების წევრობა პოლიტიკური ასოცირების მნიშვნელოვანი ნაბიჯია და განაპირობებს ევროატლანტიკური პოლიტიკური მხარდაჭერის უფრო მაღალ ხარისხს, ვინაიდან აჩვენებს პოლიტიკური არჩევანის სიმწიფეს.

- ასეთი კანონმდებლობის და სისტემების ჩამოყალიბება, გამყარებული "ეგ" წევრობით, ქმნის გამჭვირვალე სტაბილურ გარემოს, რაც კვალიფიციური სტრატეგიული ინვესტორების მოზიდვის წინაპირობაა.

მათ შორის იხსნება გზა საქართველოს განახლებადი ენერჯის პოტენციალის განვითარებისა ერთობლივი პროექტების განხორციელების გზით.

- გარდა ამისა "ეგ" წევრობა მოითხოვს ენერგოეფექტურობის დამკვიდრებას და განახლებადი ენერჯის წყაროების, სტატისტიკის სისტემის, განვითარებას, გარემოსდაცვის და კონკურენციის პირობების დაცვას და ა.შ. რაც ქვეყნის და საზოგადოების ტექნოლოგიურ და ინსტიტუციურ განვითარებას ნიშნავს და რისი

გადადებაც გაუმართლებელია. ამას გარდა, მიუხედავად პირდაპირი ენერგეტიკული კავშირის არქონისა, შეიძლება მოიძებნოს "ეგ" ქვეყნებს შორის არსებული საგანგებო ენერგეტიკულ სიტუაციებში ურთიერთდახმარების მუხლის განხორციელების პირობებიც.

•ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მიხედვით, ევროინტეგრაცია და აქედან გამომდინარე ჰარმონიზაცია ენერგეტიკულ სფეროში არის საქართველოს ეროვნული ინტერესი, ამიტომ საქართველოს მთავრობა უნდა ესწრაფოდეს ამ ინტერესის განხორციელებას და გაუმართლებელი შეფერხება გაუგებარია.

მესამე ჯგუფის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რომ, უახლოეს დღეებში მომზადდება წერილი დარგობრივი კომიტეტებისა და შესაბამისი მინისტრებისთვის საქართველოს ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების შეფერხებასთან დაკავშირებით. მესამე სამუშაო ჯგუფთან ერთად წერილს ხელს მოაწერს ასევე პლატფორმის თავმჯდომარე. ჯგუფის თანაკოორდინატორის თქმით, მნიშვნელოვანია მკაფიოდ განისაზღვროს ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების ვადა, რადგან პროცესის შეფერხება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ნატალია აბრამია